კინომცოდნეობა
CINEMA STUDIES

Several Aspects of Creative Work of Film Director Zaza Khalvashi

კინორეჟისორ ზაზა ხალვაშის შემოქმედების რამდენიმე ასპექტი

Inga Khalvashi
Batumi Art State University
PhD in Art Theory and History
+995 599792736; scenateatri@gmail.com

Abstract. The present paper is devoted to a comprehensive study of several important aspects of the creative work of Georgian film director Zaza Khalvashi, a representative of the generation of Georgian filmmakers of the 1980s. The aim of the research is to analyze the director's artistic and aesthetic principles, creative methods, social and existential concerns and cinematic worldview. The study is based on qualitative and interdisciplinary research methods and examines the director's feature films, his autobiographical book *Film Diaries*, film critics' assessments, television programs and interviews.

The paper analyzes the evolution of Zaza Khalvashi's creative work from social protest and a critical understanding of reality to a poetic, metaphorical and cosmological vision. Particular attention is paid to the director's characteristic black-and-white film aesthetic, improvisational method, work with incomplete or flexible scripts and use of non-professional actors. The study also highlights the themes of social alienation, human spiritual condition, connection with nature, faith, love and solidarity in the films *There with Me*, *Miserere*, *Solomon*, *Namme* and *Lotto*.

The paper also focuses on recurring archetypal motifs in the director's films and on the everyday, social and spiritual crises experienced by his characters. *There with Me* presents the disintegration of family and social environment, while *Miserere* intensifies the sense of public indifference and chaos. *Solomon* depicts the conflict between an unrealized artist and reality. In *Namme*, central importance is given to the harmonious unity of human beings, nature and faith. *Lotto* emphasizes nostalgia, the transience of human relationships and the importance of solidarity. Thus, the director's cinematic language combines realistic observation, experimental form, metaphorical thinking and philosophical generalization, giving his cinema a distinctive identity and intellectual coherence.

Keywords: Zaza Khalvashi, Georgian cinema, the 1980s generation, film aesthetics, existentialism.

ინგა ხალვაში
ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტი
ხელოვნების თეორიისა და ისტორიის აკადემიური დოქტორი
+995 599792736; scenateatri@gmail.com

აბსტრაქტი: ნაშრომი ეხება ქართველი კინორეჟისორის, 80-იანელთა თაობის წარმომადგენლის, ზაზა ხალვაშის შემოქმედების რამდენიმე მნიშვნელოვან ასპექტს. ნაშრომში გაანალიზებულია ზაზა ხალვაშის შემოქმედებითი ევოლუცია სოციალური პროტესტისა და რეალობის კრიტიკული გააზრებიდან პოეტურ-მეტაფორულ და კოსმოლოგიურ ხედვამდე.

კვლევის მიზანია რეჟისორის მხატვრულ-ესთეტიკური პრინციპების, შემოქმედებითი მეთოდის, სოციალური და ეგზისტენციალური პრობლემატიკისა და კინემატოგრაფიული მსოფლმხედველობის ანალიზი, რაც ეფუძნება რეჟისორის მხატვრული ფილმების, ავტობიოგრაფიული წიგნის „მეფილმის დღიურები“, კინოკრიტიკოსთა შეფასებების, სატელევიზიო გადაცემებისა და ინტერვიუების შესწავლას. კვლევა გამოკვეთს ფილმებში: „იქ, ჩემთან“, „მიზერერე“, „სოლომონი“, „ნამე“ და „ლოტო“ სოციალური გაუცხოების, ადამიანის სულიერი მდგომარეობის, ბუნებასთან კავშირის, რწმენის, სიყვარულისა და თანადგომის თემებს.

რეჟისორისთვის დამახასიათებელია შავ-თეთრი კინოესთეტიკა, იმპროვიზაციული მეთოდი, არასრული ან თავისუფალი სცენარით მუშაობა და არაპროფესიონალი მსახიობების გამოყენება. ნაშრომი ყურადღებას ამახვილებს ფილმებში პერსონაჟთა ყოფით, სოციალურ თუ სულიერ კრიზისებზე. „იქ, ჩემთან“ ოჯახისა და სოციალური გარემოს რღვევის პრობლემას წარმოაჩენს, „მიზერერე“ საზოგადოებრივი გულგრილობისა და ქაოსის განცდას აძლიერებს, ხოლო „სოლომონი“ არარეალიზებული შემოქმედისა და რეალობის დაპირისპირებას ასახავს. „ნამეში“ მნიშვნელოვანია ადამიანის, ბუნებისა და რწმენის ჰარმონიულ ერთობა. „ლოტო“ კი ნოსტალგიის, ადამიანური ურთიერთობების წარმავლობისა და თანადგომის მნიშვნელობას წარმოაჩენს. რეჟისორის კინემატოგრაფიული ენა აერთიანებს რეალისტურ დაკვირვებას, ექსპერიმენტულ ფორმას, მეტაფორულ აზროვნებასა და ფილოსოფიურ განზოგადებას. ეს თავისებურებები მის კინოს განსაკუთრებულ თვითმყოფადობასა და ინტელექტუალურ მთლიანობას ანიჭებს.

საკვანძო სიტყვები: ზაზა ხალვაში, ქართული კინო, 80-იანელები, კინოესთეტიკა, ეგზისტენციალიზმი.

შესავალი. ქართული კინემატოგრაფის ისტორიაში 80-იანელთა თაობას განსაკუთრებული ადგილი უკავია. ეს არის თაობა, რომელმაც სათქმელი ყოველგვარი შეფარვის გარეშე, პირდაპირი პროტესტით გამოხატა.

როგორც კინომცოდნე გოგი გვახარია აღნიშნავს, „80-იანელთა შემოქმედებაში რომანტიკული გმირი ყოველდღიური ყოფის პროზაში დადგა არჩევანის წინაშე. ამ კონტექსტში ზაზა ხალვაშის შემოქმედება წარმოადგენს არაორდინარული, ინტელექტუალური ხედვის მაგალითს“ (გვახარია, 1986: 27).

კრიტიკოს ლელა ოჩიაურის შეფასებით, „მისი ფილმები იდუმალი, მისტიკური შინაგანი სამყაროთი გამოირჩევა“ (ოჩიაური, 2024).

ნაშრომის მიზანია ზაზა ხალვაშის მხატვრულ-ესთეტიკური პრინციპებისა და სოციალურ-ეგზისტენციალური წუხილების სიღრმისეული ანალიზი.

კვლევის მეთოდოლოგია. ნაშრომზე მუშაობისას გამოყენებულია თვისებრივი და ინტერდისციპლინური კვლევის მეთოდები:

- ზაზა ხალვაშის მხატვრული ფილმების („იქ, ჩემთან“, „მიზერერე“, „სოლომონი“, „ნამე“, „ლოტო“) დეტალური განხილვა.
- რეჟისორის ავტობიოგრაფიული წიგნის „მეფილმის დღიურები“ (2023), აგრეთვე კინოკრიტიკოსთა რეცენზიებისა და შეფასებების დამუშავება.
- ზაზა ხალვაშის მონაწილეობით ჩაწერილი სატელევიზიო გადაცემებისა და ვიდეო-ინტერვიუების (მათ შორის „არტ-არეას“ ეთერისა და აჭარის ტელევიზიის ჩანაწერების) შესწავლა.
- პირადი შეხვედრები რეჟისორთან და ავტორის მიერ ჩაწერილი სატელევიზიო ინტერვიუს მონაცემების გამოყენება.

მსჯელობა. „არაორდინარული, თავისთავადი ხელწერის, მოაზროვნე, ინტელექტუალი რეჟისორი, რომლის ფილმებში იდუმალი, მისტიკური შინაგანი ხედვა და სამყარო ჩანს“ – ასეთ შეფასებას აძლევს კრიტიკოსი ლელა ოჩიაური რეჟისორ ზაზა ხალვაშს და მის შემოქმედებას (ოჩიაური, 2024).

ზაზა ხალვაში ქართული კინოს 80-იანელთა თაობის წარმომადგენელია. ეს ის თაობაა, რომელიც საკუთარ სათქმელს ყოველგვარი შეფარვის გარეშე, პირდაპირ ამბობს. აპროტესტებს ყველაფერს, რაც არ მოწონს. თუმცა არ იცის, მოგვარების გზები.

ხელოვანი ვერაფრით გაექცევა დროს და საზოგადოებაში დროის მიერ მოტანილ პრობლემებს, რადგან ამ საზოგადოების წარმომადგენელი თავად არის. იგი საკუთარ „მე“-ში ატარებს განცდათა და ემოციათა მძლავრ ნაკადს და საბოლოოდ სათქმელს მხატვრულ ფორმას აძლევს. ეს სათქმელი კი 80-იანელებში უკვე თავიდანვე პროტესტის სახეს იძენს. ამის შესახებ კინომცოდნე გოგი გვახარია ჯერ კიდევ 1986 წელს, სტატიაში „80-იანელთა შემოქმედება“, აღნიშნავდა: „ყოველდღიური ყოფის, თანამედროვე ცხოვრების მიერ წამოყენებული პრობლემები მარტივად როდი წყდება. დღითიდღე სულ უფრო მეტ დაძაბვას მოითხოვს ცალკეულ მოვლენათა გააზრება. ამიტომაც თვით დრომ, ცხოვრებამ გახადა აუცილებელი უფრო მეტად დაფიქრებულიყო ქართული კინოს რომანტიკული გმირი. მისი რომანტიკული თვისებები სულ უფრო ინიღბებოდა, იფარებოდა... ადრე მათთვის სრულიად უცხო არჩევანის წინაშე დადგნენ. მათი რომანტიკულობა ახლა „პროზაზე“ მაღლა კი არა, თვით პროზაში უნდა გამოვლენილიყო“ (გვახარია, 1986: 28). სწორედ წუხილის, შფოთის, გარშემო არსებული რეალობის მიმართ გამოხატული პროტესტია ზაზა ხალვაშის ყველა ფილმი.

პირველ სრულმეტრაჟიან ფილმში „იქ, ჩემთან“, რეჟისორი სოფლად მცხოვრები მრავალრიცხოვანი ოჯახის პრობლემებზე გვიყვება. საცხოვრებელი სახლის სივიწროვე მის

ბინადართა შორის უკმაყოფილების და ურთიერთობების დაძაბვის მიზეზი ხდება. ამას ხელს უწყობს ბიუროკრატიის გულგრილობა, სახელმწიფო სისტემის მოშლა. სიმშვიდე არც ბუნებაშია, მეწყრის ჩამოწოლის შიშით ოჯახი ღამეებს გარეთ ათენებს, ზოგჯერ თოვლსა და ყინვაშიც. წესრიგისა და სიმშვიდის რღვევა ტრადიციული ოჯახური ურთიერთობების ნგრევას იწვევს. შედეგად ადამიანს საყრდენი ეცლება და მოწყვლადი ხდება რეალობის წინაშე. გაურკვევლობაში მყოფი ოჯახის რამდენიმე წევრი იძულებული ხდება იქაურობას გაეცალოს და სხვაგან გადასახლდეს, საკუთარ მიწას მოწყდეს.

„მიზერერე“ (1996), რომელსაც თავად ზაზა ხალვაშის ორიგინალური სცენარი დაედო საფუძვლად, საზოგადოების აბსოლუტური გულგრილობის გამომხატველია. ფილმის იდეა 1991 წლის მოვლენების შემდეგ გაჩნდა, როცა საქართველოს პირველი პრეზიდენტი იძულებული გახდა ქვეყანა დაეტოვებინა, ხოლო თავად ქვეყანა სამოქალაქო ომმა მოიცვა.

აჭარის ტელევიზიის შემოქმედებითი გადაცემისათვის მიცემულ ინტერვიუში რეჟისორმა აღნიშნა: „დაიბადა სურვილი გადამეღო ფილმი, რომელშიც ნათქვამი იქნებოდა, რომ სატანა არ მომკვდარა, მას ადამიანის სახე აქვს მიღებული, იგი ჩვენს შორისაა, ამიტომ ფხიზლად უნდა ვიყოთ, რომ უნებურად არ ვიქცეთ მის თანამოაზრედ და ქმედებების თანამონაწილედ“. ფილმი სტილისტურად იმეორებდა „ოთხმოციანელთა“ მიგნებებს: შავ-თეთრი ფირი, ერთმანეთისაგან მკვეთრად გამოყოფილი შავი და თეთრი ფერებით. ფილმის მოქმედება დეპოში, მიტოვებულ შენობებში, მეტალურგიულ ქარხანაში ხდება. რკინაც, ოხშივარიც, ორთქლიც შესაბამისი ატმოსფეროს შესაქმნელად არის გამოყენებული. ზაზა ხალვაში ფილმის ძირითად პრინციპად კონტრაპუნქტს იყენებს, ხედვით რიგს ხმოვან რიგს უპირისპირებს - ხმაურებს, ზეაწეულ, პათეტიკურ დიალოგს, მუსიკას დისჰარმონია შემოაქვს ფილმში, რაც თავისებურ ესთეტიკას ქმნის. ფილმში ეპიზოდები ისეა აკინძული, რომ „უკუღმა“ ნახვის შემთხვევაშიც კი, შინაარსი არ იცვლება, რაც ფილმის ორიგინალურ გადაწყვეტად შეიძლება ჩაითვალოს.

ფილმის გმირებს გამოგონილი სახელები აქვთ, რომელთა დაბოლოება და ჟღერადობა ქართულს არის მიმსგავსებული: ბორე ბრავია, ციგელ აქსარგელი, წარათ წაძე, როსლენ ფათახი, კელმინა, გოვარდ გარაყალი – ეს ერთ-ერთი ხერხია პრობლემის განზოგადებისათვის.

„სოლომონში“ (2015) რეჟისორი უკვე არარეალიზებული ხელოვანის შესახებ გვიყვება – მუსიკოსზე, რომელიც ცდილობს იცხოვროს და იცოცხლოს. 2000-იანი წლების დასაწყისში თავად ზაზა ხალვაშს სურდა გადაეღო ფილმი რეჟისორზე, რომელსაც საკუთარი სცენარის რეალიზება სურს. თუმცა ფინანსური საკითხების მოგვარებისას უამრავ პრობლემას, ყრუ კედელს აწყდება და ვერ ახერხებს იდეის განხორციელებას. ათწლიანი პაუზის შემდეგ ზაზა ხალვაშმა თვითნასწავლი მუსიკოსი, სოლომონ მახარაძე გაიცნო, საინტერესო მუსიკისა და ტექსტების ავტორი. მაშინვე შეცვალა იდეა და რეჟისორის ნაცვლად, შემოქმედისა და რეალობის პრობლემა მუსიკოსის მაგალითზე გადაიტანა. „სოლომონი“ ზაზა ხალვაშმა ბათუმელი ფოტოგრაფისა და ოპერატორის სოსო შენგელიას ხსოვნას მიუძღვნა, ვისთან ერთდაც თავისი პირველი ფილმი „ექო“ გადაიღო. სოსო შენგელია შავ-თეთრ გამოსახულებაზე მუშაობდა, ამიტომ „სოლომონიც“ შავ-თეთრ ფილმად გადაწყდა.

ფილმის გადაღება არასრული სცენარით მიმდინარეობდა. რეჟისორი მუშაობის დროს იმპროვიზაციას მიმართავდა. მოცემულ სიტუაციაში მუშაობა ერთგვარი ექსტრიმია, ახალი გზების, ხერხების აღმოჩენის, ექსპერიმენტების ჩატარების, სითამამის და გამბედაობის საბაბია. თავის ინტერვიუში, რომელიც „არტ-არეას“ ეთერში გადაიცა, ზაზა ხალვაში ამბობს კიდეც: „ახლავს თავისუფლებას ხიბლი, როცა ყველაფერი იმპროვიზაციაა და ყველაფერი იქ ხდება. როცა არავისზე ხარ დამოკიდებული, არც სცენარით ხარ შეზღუდული, ყველაფერი იქ იბადება და ხდება. ალბათ ყველა რეჟისორი ოცნებობს ასეთ პირობებში გადაიღოს ფილმი“ (https://www.facebook.com/watch/?v=121588475850851).

რეჟისორმა იგივე ხერხი გამოიყენა ბოლო ფილმზე - „ლოტოზე“ მუშაობისას. „მეფილმის დღიურებში“ არის ჩანაწერი: „ბნელში ხელების ფათურით გადავიღე. დრამატურგია, როგორც მოსალოდნელი იყო, გვერდით გადავწიე. ადრე სცენარით მიყვარდა გადასაღებ მოედანზე მისვლა. ახლა მივატოვე ეს ჩვევა, უსცენაროდ მომეწონა მუშაობა, არსებობს რეალობის მოცემულობა. ავტორის თვალი ხედავს ამ რეალობას და ეძებს მისგან გამომერწოს ის მდგომარეობა, რაც მას მოუპოვებია მოცემულ ვითარებაში. ითხზვება თავისით - განწყობილების კვალდაკვალ. სცენარი მხოლოდ სქემაა, ძალიან პირობითია. ამ ერთ თვეში ის შევთხზე, რაც განწყობა მქონდა (ხალვაში, 2023: 153).

„ლოტოც“ შავ-თეთრი ფილმია. „რატომ შავ-თეთრი? იმიტომ, რომ გრაფიკაა, ნახატია და უფრო ნახატია, ვიდრე ფერადი. მაგრამ კადრი მოძრაობას აფიქსირებს და არა სტატიკას. კინო არის მოძრაობა, ასახვა, მოძრაობით და მოქმედებით აზრის გამოხატვის ფორმა“ (ხალვაში, 2023: 147). ორივე ფილმში ძირითადად, არაპროფესიონალი მსახიობები მონაწილეობენ. „ვარჩევ ტიპაჟებს. უარი ვთქვი პროფესიონალ მსახიობებზე, პრინციპი მაქვს ასეთი. მშრალი რეალიზმი“ (ხალვაში, 2023: 147).

იგივე ჩანაწერებიდან ვგებულობთ, რომ სხვადასხვა ამბის გადაღებას სხვადასხვა სტილით აპირებდა, სავარაუდოდ, ისევ ექსპერიმენტის სახით. „ვეძებ, როგორი სტილით გადავიღო? თუ ყველა სიუჟეტი სხვადასხვა ჟანრია - ხერხიც სხვადასხვა უნდა იყოს“ (ხალვაში, 2023: 147). თუმცა ექსპერიმენტი ვერ შედგა.

„ლოტო“ – ნოსტალგია, რექვიემია იმ ურთიერთობებზე, რომელიც მის ბავშვობას ათბობდა და რომელიც დღეს უკვე წარმავალია. ფილმზე საუბრისას კრიტიკოსი ლელა ოჩიაური აღნიშნავს: „ლოტოთი“ ზაზა ხალვაშმა ბათუმსა და ბათუმელებს სიყვარული უკანასკნელად აუხსნა და ჩვენც, თითქოს, ანდერძად დაგვიტოვა, რაც სიცოცხლის მიზანიცაა და რწმენაც – რომ, ვინც და სადაც უნდა იყო – პატარა, თუნდაც გასაქრობად განწირულ ეზოში, მშვენიერ ზღვისპირა ქალაქში, თუ დედამიწის ნებისმიერ კუთხეში – მხოლოდ ერთობა, ერთიანობა, სიყვარული და თანადგომაა, რაც გვაცოცხლებს, გვამხნევებს, აზრს სძენს და ამართლებს ცხოვრებას“ (ოჩიაური, 2024).

პოეტურ-მეტაფორული „ნამე“ (2017) მკვეთრად გამოირჩევა ზაზა ხალვაშის სხვა ფილმებისაგან. იგი რეჟისორის ფილმად ქცეული ფიქრია, ჩუმი, ღრმა და ყოვლისმომცველი. რეჟისორის მსოფლაღქმა ზერელეიგიურია. იგი ემხრობა სამყაროს, რომელშიც ერთმანეთის გვერდით მშვიდად თანაარსებობენ სხვადასხვა კონფენსიები, რადგან „მოწყალე ღმერთი ერთია“. ამ სამყაროში ადამიანი თავს გრძნობს უსაზღვრო კოსმოსის განუყოფელ ნაწილად და ეს ჰარმონიული ერთიანობა მის სულიერ სიმშვიდეს განაპირობებს.

რელიგიისა და მეცნიერების სათავე, საწყისი საერთოა – კოსმოსი. კოსმოსთან აქვს კავშირი მამას. მასწავლებელი, მღვდელი და მოლა სკოლაში, ეკლესიასა და ჯამეში ქადაგებენ. მოხუცს თავისი მრევლისთვის არ სჭირდება განსაკუთრებული შენობა, მისი ტაძარი ბუნება, უკიდეგანო კოსმოსია. ალი სასწაულმოქმედი წყლისა და მაგიური თევზის მცველია, სიცოცხლის საიდუმლოს მცოდნეა. ამ ცოდნას შვილებს წყლით უზიარებს. წყლის დალევაც ერთგვარი რიტუალია – ბოლო წვეთს ხელის გულზე ისხამენ და შუბლზე შეიზილავენ.

ფილმში არ ხდება რომელიმე რელიგიის უპირატესობის მტკიცება, მასში ხაზგასმულია რწმენა, როგორც ადამიანის ძირითადი მამოძრავებელი ძალა. ეს რწმენა აშენებინებს მღვდელს ეკლესიას, თუმცა მრევლი არსად ჩანს. რწმენის გამო ზის მოლა ჯამეში და ელოდება მლოცველებს, რომლებიც ისევ არ ჩანან. რწმენის გამო ასწავლის ერთადერთ მოწაფეს მასწავლებელი. რწმენა აძლევს ძალას ნამეს და მოხუც მამას – უმკურნალონ ადამიანებს. რწმენით აალდება ჩირაღდანი და რწმენით ხდება წყალი მკურნალი.

„ნამე“ – ეს უკვე მითის რანგში აყვანილი თხრობაა, ადამიანის, ბუნებისა და რწმენის ერთიანობის შესახებ. ამ ერთიანობის რღვევა ადამინის სულიერ კატაკლიზმებს იწვევს. იგივე პრობლემას ეხება რონ ფრიკე დოკუმენტურ ფილმში „ბარაკა“, რომელიც სწორედ ამ ურთიერთობას იკვლევს. როდესაც ამ სამებას შორის სრული ჰარმონია არსებობს, ადამიანის სული მშვიდადაა და გაწონასწორებულია. როგორც კი ჰარმონიის რღვევა იწყება, ადამიანი ეგზისტენციური პრობლემის წინაშე დგება. რონ ფრიკეს თხრობა განსაკუთრებულია, ჩუმად, ყოველგვარი კომენტარის გარეშე იგი თვალყურს ადევნებს გარემოს, ეს კი მაყურებელს ეკრანზე მიმდინარე მოვლენების ფილოსოფიური აღქმისაკენ განაწყობს. ფილმის გამოსვლის შემდეგ ზაზა ხალვაში ბევრს საუბრობდა მასზე, ყველას ურჩევდა მის ნახვას. სწორედ ეს ფაქტი მაფიქრებინებს, „ნამე“ მივიჩნიო, როგორც „ბარაკას“ ერთგვარი გადაძახილი. ზაზა ხალვაშმა პრობლემა საკუთარ თავში გაატარა, თავისად აქცია და შემდეგ მაყურებელს უამბო ამის შესახებ. ტოკიოს საერთაშორისო კინოფესტივალის პრესკონფერენციაზე კიდეც აღნიშნა, რომ „ნამე“ მისი სულის გამოფენა იყო“.

80-იანელთა თაობის რეჟისორებისთვის დამახასიათებელია ფილმის ფინალში გმირების წასვლა. ზაზა ხალვაშის ყველა ფილმის ფინალში გმირი მიდის. ფილმში „იქ, ჩემთან“ ახალგაზრდა ოჯახი საკუთარ მიწას ტოვებს და ახალი რელობის, პერსპექტივის, მომავლის, ახალი ცხოვრების დაწყების იმედით აგრძელებს გზას. „მიზერერეში“ ნიღაბახდილი სვიმონი გაქცევით შველის თავს აღშფოთებული ადამიანების რისხვას. „სოლომონიც“ მიდის, ყოფის სირთულეს უსასრულობაში გადასვლით აღწევს თავს. „ნამე“ თითქოს თვითმკვლელობის, უფრო ზუსტად, მსხვერპლშეწირვის რიტუალს ასრულებს, გამჭვირვალე ეთერს ერევა და სიცოცხლეს სამანის მეორე მხარეს აგრძელებს. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, რეჟისორს რომ დასცლოდა, ბოლო ნამუშევარიც („ლოტო“), სავარაუდოდ, პერსონაჟთა ამგვარივე ეგზისტენციალური წასვლით დასრულდებოდა (2020 წელს ზაზა ხალვაში გარდაიცვალა. ფილმი ოჯახის წევრებმა რეჟისორის ჩანაწერების მიხედვით დაასრულეს).

ზაზა ხალვაშის ფილმებში ხშირად მონაწილეობენ არაპროფესიონალი მსახიობები. მათ არა მხოლოდ სტატისტების როლს აკისრებს, არამედ მნიშვნელოვან ეპიზოდურ როლებსაც სთავაზობს. ფილმ „მიზერერეში“ ერთ-ერთი პერსონაჟი ქალი ქუჩაში

შემთხვევით აღმოაჩინა, როგორც ტიპაჟი მოეწონა და ფილმში დააკავა. ფილმ „სოლომონში“ თითქმის ყველა არაპროფესიონალია, ტიპაჟების მიხედვით შერჩეული, ისევე, როგორც ბოლო ნამუშევარში „ლოტო“. ფილმ „ნამეში“ არაპროფესინალებს უკვე მთავარ როლს ანდობს და არჩევანში არ ცდება. პროფესიით ტელეოპერატორი ალეკო აბაშიძე და რეჟისორი მარისკა დიასამიძე ზუსტად ქმნიან პერსონაჟების სახეებს. მათი პლასტიკა მეტყველია. მათი თვალებიდან გმირების განცდები, ფიქრები, იმედები და წუხილი იღვრება.

გვერდს ვერ ავუვლი რეჟისორის მთავარ თვისებას – გულწრფელობას. გულწრფელობა ვლინდება მის წუხილში სოფლად არსებული სოციალური პრობლემით გაყოფილი ოჯახების გამო. გულწრფელია, როდესაც დემორალიზებულ საზოგადოებას, ადამიანთა შორის დაპირისპირებას და საყოველთაო ქაოსს გვაჩვენებს. წუხს არშემდგარი, ვერრეალიზებული ხელოვანის გამო. აწუხებს ბუნებასთან, კოსმოსთან კავშირის რღვევით გამოწვეული ადამიანის დარღვეული სულის სიმშვიდე. ნოსტალგია აქვს წარმავალი ადამიანური ურთიერთობების, თანადგომის, სიყვარულის მიმართ.

სტატია მინდა 2006 წელს ჩაწერილი მისი ტელეინტერვიუს ამონარიდით დავასრულო: „დარწმუნებული ვარ ერთ რამეში, როდესაც არსებობს დაუოკებელი სურვილი რაღაცა შექმნა, აუცილებლად გააკეთებ. უკან აღარ მოიხედავ არაფრისთვის, ყველა ჯებირს გაარღვევ და გააკეთებ“ (აჭარის ტელევიზიის გადაცემა „მხოლოდ კინო“, 2006).

დასკვნა. ზაზა ხალვაშის შემოქმედებას საკუთარი, მკაფიოდ გამოკვეთილი ხელწერა და ინტელექტუალური სიღრმე ახასიათებს. როგორც 80-იანელთა თაობის თვალსაჩინო წარმომადგენელმა, მან თავისი შემოქმედებითი გზა დაიწყო ეპოქალური კრიზისის, სოციალური უსამართლობისა და საზოგადოებრივი ქაოსის წინააღმდეგ მიმართული მწვავე პროტესტით („იქ, ჩემთან“, „მიზერერე“).

რეჟისორის შემოქმედებითი ევოლუცია ცხადყოფს გარდატეხას პირდაპირი სოციალური კრიტიკიდან ღრმა, პოეტურ-მეტაფორულ და კოსმოლოგიურ აზროვნებამდე:

- ზაზა ხალვაში თანდათანობით ჩამოშორდა კლასიკურ დრამატურგიულ ჩარჩოებს. „სოლომონსა“ და „ლოტოში“ მან მიაღწია შემოქმედებით თავისუფლებას იმპროვიზაციის, მზა სცენარის გარეშე მუშაობისა და არაპროფესიონალი მსახიობების გამოყენების გზით, რაც მის ფილმებს „მშრალ რეალიზმსა“ და ამავდროულად, მხატვრულ განზოგადებას სძენდა.
- ფილმში „ნამე“ რეჟისორის მსოფლმხედველობა ზერელიგიურ და კოსმოლოგიურ მასშტაბებს აღწევს. ბუნების, ადამიანისა და რწმენის ერთიანობა ზაზა ხალვაშისთვის სულიერი სიმშვიდის მთავარი საყრდენია, ხოლო ამ ჰარმონიის რღვევა – ეგზისტენციური კატასტროფა.
- რეჟისორის ყველა ფილმის ფინალში გმირის „წასვლა“ (მიგრაცია, გაქცევა, უსასრულობაში გადასვლა თუ მსხვერპლშეწირვა) არა დამარცხება, არამედ რეალობისგან გათავისუფლებისა და ახალი განზომილების ძიების ფორმაა.
- ზაზა ხალვაშის კინოს მთავარი მამოძრავებელი ძალა უზადო გულწრფელობაა - წუხილი დაკარგულ ადამიანურ სითბოზე, წარმავალ ურთიერთობებსა და არშემდგარ ხელოვანზე.

საბოლოო ჯამში, ზაზა ხალვაშმა დატოვა კინემატოგრაფიული ანდერძი, რომლის მიხედვითაც, ნებისმიერ გარემოსა თუ ეპოქაში ცხოვრების გამართლება და სულიერი გადარჩენა მხოლოდ ერთობას, სიყვარულს, თანადგომასა და შემოქმედების დაუოკებელ სურვილში იმალება.

გამოყენებული ლიტერატურა:

ხალვაში, ზ. (2023). „მეფილმის დღიურები“ (2014-2020), გამომცემლობა „ინტელექტი“ თბილისი.

ავტორთა ჯგუფი, (2021). „ქართული კინო - დამოუკიდებლობის 30 წელი. გამომცემლობა „კენტავრი“, თბილისი.

გვახარია, გ. (1986). „ოთხმოციანელთა შემოქმედება“ ჟურნალი „საბჭოთა ხელოვნება“, №6.

ზაზა ხალვაში მხატვრული ფილმის „სოლომონის“ შესახებ“ https://www.facebook.com/watch/?v=1215884758508 51

ოჩიაური, ლ. (2024). „ვთამაშობთ ლოტოს“. https://gfr.ge/%e1%83%95%e1%83%97%e1%83%90%e1%83%9b%e1%83%90%e1%83%a8%e1%83%9d%e1%83%91%e1%83%97-%e1%83%9a%e1%83%9d%e1%83%a2%e1%83%9d%e1%83%a1/

აჭარის ტელევიზიის საავტორო გადაცემა „მხოლოდ კინო“ (პირადი არქივი), 2006.
(ach'aris t'eleviziis saavt'oro gadatsema „mkholod k'ino“ (p'iradi arkivi), 2006.)

REFERENCES:

Khalvashi, z. (2023). „mepilmis dghiurebi“ (2014-2020), gamomtsemloba „int'elekt'i“ tbilisi.

avt'orta jgupi, (2021). „kartuli k'ino - damouk'ideblobis 30 ts'eli. gamomtsemloba „k'ent'avri“, tbilisi.

Gvakharia, g. (1986). „otkhmotsianelta shemokmedeba“ zhurnali „sabch'ota khelovneba“, №6.

zaza khalvashi mkhat'vruli pilmis „solomonis“ shesakheb“. https://www.facebook.com/watch/?v=1215884758508 51

Ochiauri, l. (2024). „vtamashobt lot'os“. https://gfr.ge/%e1%83%95%e1%83%97%e1%83%90%e1%83%9b%e1%83%90%e1%83%a8%e1%83%9d%e1%83%91%e1%83%97-%e1%83%9a%e1%83%9d%e1%83%a2%e1%83%9d%e1%83%a1/

ach'aris t'eleviziis saavt'oro gadatsema „mkholod k'ino“ (p'iradi arkivi), 2006.